საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუგუშვილი ჯემალ (ელგუჯა) სერგოს ძე



ჯ. გუგუშვილი

გუგუშვილი ჯემალ (ელგუჯა) სერგოს ძე, (დ. 14. IV. 1945, აბაშა), ზოოტექნიკოსი. საქართვ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (2003), სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1994), სომხეთის სას.-სამ. აკადემიის საპატიო პროფესორი (2000). საქართვ. დამს. მწვრთნელი ფეხბურთში (1981), სპორტის დამს. მუშაკი (2002). 1971 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.- სავეტერინარო ინ-ტი, 1974–87 იყო ამავე ინ-ტის მეცხენეობა- მებოცვრეობის განყბის უფროსი მეცნ. თანამშრომელი, შემდეგ ამავე ინ-ტის მეცხოველეობის კათედრის გამგე; 1998–2005 – ზოოტექ.- სავეტერინარო აკადემიის რექტორი. გ. იკვლევს მებოცვრეობის განვითარების პრობლემებს. მისი ხელმძღვანელობით გამოყვანილია ბოცვრის ახ. სახორცე-საქურქე ჯიში. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის (2 მონოგრაფია, 2 სახელმძღვანელო), 1 გამოგონების, 2 პატენტის. გ-ს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართ. სპორტის განვითარების საქმეშიც. 1994–96 იყო საქართვ. ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი ფეხბურთში, 2006–07 – საქართვ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2002).

თხზ.: ჯიშთაშორისი შეჯვარების ეფექტურობა მებოცვრეობაში, თბ., 1998.